PDF Eraser Free

დანართი №2

ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟის" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

გიორგი ნაჭყეპია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟის" მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების შესახებ. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N 287713 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შედგა განრიგი. განრიგის შესაბამისად 2021 წლის 8 აპრილს ,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის მიზნით ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტების მიერ განხორციელდა დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართებაში კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება. განხორციელდა ასევე პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ხარვეზი არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1. (1)

- დაწესებულებამ საჭიროა სწავლის დაწყებამდე შეიძინოს აღჭურვილობის ჩამონათვალში გაწერილი ის მატერიალური რესურსი, რომელიც წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმით.

2.2.1.(7)

- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის შეიმუშავოს წესი, რომლის მიხედვით მოხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N01-4/35 15.02.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	75 (30 მოდულური, 45 ინტეგრირებული) ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	45
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები” შემუშავებულია „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესის თანახმად, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას კოლეჯმა გაითვალისწინა მოთხოვნა, როგორც სწავლის მსურველთა, ასევე დამსაქმებელთა მხრიდან, აღნიშნული მიმართულების სწავლების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, კომპიუტერული ქსელი და სისტემების სპეციალისტებისთვის თვითდასაქმების შესაძლებლობა. გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების თაობაზე შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, რომელშიც გაცხადებულია, რომ იგი მრავალპროფილურია და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რომელშიც მითითებულია რომ ყოველწლიურად მოახდენენ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას შრომის ბაზრის მოთხოვნების, რეგიონის სპეციფიკის, დამსაქმებელთა და კოლეჯში სწავლის მსურველთა ინტერესების გათვალისწინებით“ თანმდევი შესაბამისი აქტივობების ჩათვლით.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა : საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საბაზო განათლება, ხოლო საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები სრული ზოგადი განათლება, რითიც უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N152/ნ ბრძანების „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ და ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ “ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის“ შესაბამისად. აღნიშნულ წესში გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვის პროცედურაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.

3. ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ დირექტორის 2020 წლის 29 აგვისტოს N272 ბრძანებით (ცვლილება - ბრძ.N01-4/17 29.01.2021) დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროგრამის განხორციელების მიდგომები და სპეციფიკა, ადამიანური და მატერიალური რესურსები, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობები და სხვ. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებას დადგენილი და წარმოდგენილი აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 75 პროფესიული სტუდენტი (15-15 პროფესიული სტუდენტი თითო ჯგუფში), მათ შორის ინტეგრირებულ პროგრამაზე 45 (წელიწადში 15 პროფესიული სტუდენტი), ხოლო არაინტეგრირებულ პროგრამაზე 30 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სწავლება განხორციელდეს ორ ცვლაში. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შესაბამისობაშია მათ რესურსებთან.

4. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N01-4/35 ბრძანებით, რომლის უფლებამოსილება დასტურდება ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟის“ წესდების მე-4 მუხლის გ) ქვეპუნქტის თანახმად.
7. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (ცვლილება - 2019 წლის 25 სექტემბრის N882/ი) საფუძველზე, პროგრამა მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც მათ დაადასტურეს დისტანციური ვიზიტის დროს ინტერვიუს ფარგლებში. ინტეგრირებული სასწავლო გეგმა გაწერილია 3 წელზე, სასწავლო გეგმებში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები და განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია http://www.vetprestige.ge/
- სტრატეგიული განვითარების გეგმა https://drive.google.com/file/d/1NtIaBdS-8Z4I01bqn_k8NG0KIbzb7K9l/view;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N01-4/35 ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი";
- პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები"განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი" დირექტორის 2020 წლის 29 აგვისტოს N272 ბრძანებით (ცვლილება - ბრძ.N01-4/17 29.01.2021);
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. აღნიშნული პროგრამისთვის წარმოდგენილია სასწავლო გეგმა ინტეგრირებული სწავლებისთვის და სასწავლო გეგმა არაინტეგრირებული სწავლებისთვის. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, შესაბამისად შეფასდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა ორივე სასწავლო გეგმით პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა მათი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

   ვიზუალური დათვალიერებისას დასტურდება, რომ კოლეჯს აღნიშნული პროგრამებისთვის გააჩნია A, B და C გარემოები, რომელშიც განთავსდება 15-15 პროფესიული სტუდენტი. A, B გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემოებში ამ ეტაპისთვის ერთ სივრცეში კომპიუტერული ქსელის და სისტემების პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განთავსებულია აღჭურვილობის ნაწილი შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით, ხოლო მეორე სივრცეში კი გათვალისწინებულია ინტეგრირებული პროგრამისთვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიების" მოდულის სასწავლო აღჭურვილობის განთავსება. კოლეჯს 2.2. კომპონენტი თავად შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილი შესაბამისობა" და რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" შესაძენი პროფესიული აღჭურვილობის ჩამონათვალი დანართი N4-ის სახით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის და დანართი 1-ის სახით აღჭურვილობის ჩამონათვალი ინტეგრირებული სწავლებისთვის, რომლის მიხედვითაც აღნიშნული დარჩენილი ინვენტარის შესყიდვების დასრულებას გეგმავენ 2021 წლის სექტემბერში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ როგორც აღვნიშნეთ, განხორციელდება კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით, მხოლოდ მოდულისთვის „გაცნობითი პრაქტიკა“ გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთათვის სასწავლო ექსკურსიების მოწყობა, რომელთათვისაც მათ გაფორმებული აქვთ 3 ხელშეკრულება პრაქტიკის განმახორციელებელ ქვემოთ ჩამოთვლილ ობიექტებთან:

ხელშეკრულება N01-23-38 05.03.2021 წელი ს.ს „თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. უნივერსიტეტთან“ .

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით. ხელშეკრულების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ 15 პროფესიული სტუდენტისთვის ,,გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულისთვის სასწავლო ექსკურსიების ორგანიზება .

ხელშეკრულება N01-23-33 17.02.2021 წელი [redacted] .

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით. ხელშეკრულების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ 15 პროფესიული სტუდენტისთვის ,,გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულისთვის სასწავლო ექსკურსიების ორგანიზება.

ხელშეკრულება N01-23-37 01.03.2021 წელი შპს კომპანია ,,სქაიტელთან“ .

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით. ხელშეკრულების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ 15 პროფესიული სტუდენტისთვის ,,გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულისთვის სასწავლო ექსკურსიების ორგანიზება.

ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე, **ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულებამ საჭიროა სწავლის დაწყებამდე შეიძინოს აღჭურვილობის ჩამონათვალში გაწერილი ის მატერიალური რესურსი, რომელიც წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმის მე-2 დანართით**.

2. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები” დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს მოდულურის შემთხვევაში - 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო ინტეგრირებულის შემთხვევაში - 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 2-2, ზოგიერთ შემთხვევაში კი 3-3 პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მასწავლებელი, რომელთა რაოდენობით პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა თავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის და განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ,,მეცნიერება და ტექნოლოგიების“ და ,,მეწარმეობის“ მოდულებისთვის კოლეჯს შერჩეული ყავს თითო მასწავლებელი და გეგმავს დამატებით აიყვანოს ხელშეკრულებით მეორე პროფესიული განათლების მასწავლებლებიც თითოეული აღნიშნული მოდულისთვის, რაც გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმით აპრილის ბოლომდე შესასრულებელი აქტივობის სახით.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. თუმცა, კოლეჯს ჰყავს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებიც, რომლებიც ახლად ერთვებიან პროფესიულ განათლებაში და მათთვის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია 4 თვის ვადაში პროგრამის განხორციელების საკითხებში ტრენინგების შეთავაზება. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია განსახორციელებელი მოდულები. დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაშიც აქვს გაწერილი პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით აქტივობა ,,პროფესიული მასწავლებლების გადამზადება თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და მიდგომების შესაბამისად“. ინტერვიუების ფარგლებში ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმაც დაადასტურეს, რომ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს კოლეჯის ორგანიზებით ჩაუტარდათ მოდულურ პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების შიდა ტრენინგები და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პედაგოგიური სრული კურსი.

4. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 30 აგვისტოს N290 (ცვლილება N01-4/24, 17.06.2020; 01-4/10 25.01.2021) ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესის“ მე-4 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. კერძოდ, ,,პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი/კოლეჯის წარმომადგენელი/დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, გამოირჩევა მაღალი დარგობრივი კომპეტენციით, მისი კვალიფიკაცია ან/და სწავლების გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შედეგებს“. აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კომპეტენტური პირი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაშიც.

5. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ შესაბამის მუხლებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები - ინდივიდუალური მუშაობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟს“ აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და ლიფტი. სასწავლო რესურსი საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ჟესტური ენის ორი თარჯიმანი. ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებით ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტის და სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები.

7. საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით ფინანსურად მდგრადია. პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, განხორციელებისთვის კი კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასურს. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წყარო: სწავლის საფასური/ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებში შეყვანილია პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალების ღირებულებას, არსებობის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები (სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა). პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს, პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 9 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტი გათვლილია 15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფისთვის. შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი ტოლი ოდენობისაა და სულ განსაზღვრულია - 98310 ლარი. გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, თუმცა, რენტაბელობის მაჩვენებლის განსაზღვრა არადამაჯერებელია, შესაბამისად, **დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის შეიმუშავოს წესი, რომლის მიხედვით მოხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N01-4/35 ბრძანებით;
- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი“;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ დირექტორის 2020 წლის 29 აგვისტოს N272 ბრძანებით (ცვლილება - ბრძ.N01-4/17 29.01.2021);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის N01-4/23 (ცვლილება ბრძ. N01-4/112; 30/11/2020; N01-4/6 21.01.2021) ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება.
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში შემუშავებულია „განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“, რომელიც ეყრდნობა დემინგის ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ და ამასთან, კოლეჯში მოქმედებს „პროფესიული საგანმანათლებლი პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირების და გაუქმების წესი“, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაწესებულებაში მოქმედებს რეგულაცია „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც მოტანილია კითხვარები: მოლოდინების შეფასებისთვის, პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის/მასწავლებლის შეფასებისთვის, პროფესიული მასწავლებლის მიერ მოდულის შეფასებისთვის, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევისთვის;

   კოლეჯი პროგრამის განვითარებისთვის იყენებს კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკურ მაჩვენებლებს და მათი ანალიზის შედეგებს.

   ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესის მიხედვით, მუხლში 3 გაწერილია არსებული პროგრამის ცვლილების ან გაუქმების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის პირობები და წესები.
ხოლო მუხლში 10 კი პროგრამაში ცვლილებების (მოდიფიცირება) შეტანის წესები, რომელშიც აღნიშნულია რომ პროგრამაში ცვლილებების (მოდიფიცირება) შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე და მისი ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, დაწესებულებაში მოქმედი შიდა მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფის წევრებს, დამსაქმებელს ან სხვა დაინტერესებულ პირს შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე. აქვე აღნიშნულია, რომ პროგრამაში ნებისმიერი სახის ცვლილების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და საჭიროების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება. აგრეთვე, „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში მიმდინარეობს შიდა მონიტორინგი, რომლის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული რესურსების შეფასება. შემუშავებულია კითხვარები პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის/მასწავლებლის შეფასებისთვის, მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შეფასების საათზე დასწრების კითხვარი, მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ჩატარებული გამოკითხვებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის მასალების ანალიზის საფუძველზე განახორციელებს პროგრამის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მოხდება ცვლილებების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი“;
- „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“
- „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“
- ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ახალია, წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იგი განხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, მაგალითად, პანდემიით გამოწვეული დისტანციურად სწავლების პირობებში დაწესებულებამ ჩაატარა კვლევა პროფესიული სტუდენტების კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფის შესახებ და იმ სტუდენტებს, რომლებსაც არ გააჩნდათ კომპიუტერული ტექნიკა, კოლეჯმა ათხოვა სასწავლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვის მიზნით. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. სსიპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სასწავლო პროცესში როგორც სწავლების თანამედროვე მეთოდების, ისე დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“-ს აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, შიდა ონალინ სისტემა, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება გეგმავს/ხელს უწყობს მასწავლებლების გადამზადებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში.
4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს დირექტორის 2020 წლის 17ივნისის N01-4/23 (ცვლილება N01-4/112 30.11.2020; N01-4/6 21.01.2021) ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკის გადამოწმება განსახილველ პროგრამაზე ვერ მოხერხდა, ვინაიდან იგი ახალია, თუმცა დაწესებულებას აქვს შესაბამისი მზაობა, მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმები, ასევე, ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების დროს აღნიშნული დაადასტურეს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. მათ აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელის და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ შშმ პირები ვერ ადასტურებდნენ შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რისთვისაც მათ მიერ შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და წარედგინა კოლეჯის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს შესათანხმებლად. ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმები კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ თითქმის ყველა მოდულზე.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებულია კოლეჯის ბაზაზე არსებული C გარემოს გამოყენებით, თუმცა გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს შემდეგ 3 კომპანიასთან **ს.ს „თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. უნივერსიტეტთან“** , **„[redacted]** და **შპს კომპანია „სქაიტელთან“** , რაც დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
6. ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო C გარემოში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას სტუდენტების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი პროფესიული განათლების მასწავლებელია, იგი პროფესიულ სტუდენტებს უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების წესებში. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს C გარემო და გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ამავდროულად ახორციელებს პროფესიულ მოდულებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N01-4/35 ბრძანებით;
- დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის N01-4/23 (ცვლილება ბრძ. N01-4/112; 30/11/2020; N01-4/6 21.01.2021) ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის N01-4/40 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესში“. მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, ვალიდაცია, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება, მტკიცებულებების მოპოვების, შენახვის და განკარგვის წესი. წესს ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია შეფასებების ფორმები, ჩექლისტები, კითხვარები.

აღნიშნული წესის გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ კოლეჯის ვებგვერდზე, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული წესის შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის N01-4/40 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესში“. კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ინსტრუმენტების შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობას, სანდოობას, მოქნილობას. შიდა ვერიფიკაციის შედეგად პროფესიული განათლების მასწავლებლები იღებენ თანმიმდევრულ და ზუსტი შეფასების გადაწყვეტილებებს განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმის შესაბამისად. შიდა ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზებას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი წინასწარ შედგენილი შიდა ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შესაბამისი ცონდისა და კვალიფიკაციის მქონე შიდა ვერიფიკატორების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშია განათლების და დარგის ვერიფიკატორები. განათლების ვერიფიკატორის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს ხარისხის მართვის მენეჯერმა, ხოლო დარგის ვერიფიკატორი შეიძლება იყოს იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი. შიდა ვერიფიკაციით ხორციელდება: შემუშავებული და შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება; შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულებების შემოწმება. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია ხდება შერჩევითი პრინციპის საფუძველზე. ვერიფიკაციის ნიმუშების შერჩევისას, რისკების შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების რაოდენობა, არსებული რესურსები, ვერიფიკატორების რაოდენობა, ინსტუმენტების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლოა შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, მაგალითად, დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა. კოლეჯის დადგენილი წესით ვერიფიკაციის დროს უნდა შეფასდეს ერთიდაიმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის არა ნაკლებ 25% პროცენტი. შიდა ვერიფიკატორების მიერ ჩატარებული შემოწმებების და მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს ანგარიშს და გაუმჯობესების ღონისძიებების ჩამონათვალს ყოველი კონკტერული შემთხვევისთვის. საჭიროების შემთხვევაში, სასაწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ადგენს რეკომენდაციების შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გეგმას და ანგარიშს მათი შესრულების შესახებ. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ კოლეჯში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს რელევანტური ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა ამ მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენების გადამოწმება ვერ მოხერხდა, გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველი პროგრამა ახალია, ხოლო მიმდინარე 2 პროგრამიდან ვიზიტის პერიოდში არცერთი არ იყო ჯერ დასრულებული და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა განმარტა, რომ ვერიფიკაცია განხორციელდება პროგრამების დასრულების შემდეგ.

3. კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები კი ინახება მუდმივად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი პერმანენტულად აანალიზებს შეფასების შედეგებს და პერიოდულად ანგარიშს წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროგრამა ახალია, შესაბამისად აღნიშნული წესის პრაქტიკაში გადამოწმება ვერ განხორციელდა, თუმცა, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და მიღწევების სტატისტიკური მონაცემების შეფასება და ანალიზი წესის მიხედვით ხორციელდება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი რეაგირება (დამატებითი მეცადინეობები, განმავითარებელი შეფასებები, კონსულტაციები და სხვ.) და შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N01-4/35 ბრძანებით;
- ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის N01-4/40 ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი/განრიგი

25.05.2021.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: